

სპორტული

3

საქართველო

კვირა,

1961 წ.

№ 185 (1771)

ბათუმის №18 წელი.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО

Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР в Грузинского республиканского совета профсоюзов

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსი

1961 წლის 29 აგვისტოს ტიან-შანში გამარჯვებულ საქართველოს დროს მთავრდებულ სსრ კავშირის სპორტულ ოსტაების კონკურსში პ. ა. მიმხარიაშვილის, თ. მ. პახინაძის, ი. ნ. პაპიანიძის კვალი კულად დაღუპვასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ შექმნა დაჯილდოების მომწოდებელი კომისია შემდეგი შემადგენლობით: ამხანაგები გ. ვ. სიხარულიძე (თავმჯდომარე), მ. გ. ვეფხვაძე, გ. ა. ანდრონიკაშვილი, ნ. ნ. კაცხვიანი, გ. ს. ვაშაიძე, რ. გ. შანიძე, ი. პ. ხეთაგური.

დაბრძალვა მოხდა სახელმწიფოს ხარჯზე.



რსა და 12 სანტიმეტრზე გაზავდა. მეორე დღეს კი ბადროს მტყორცნელთა შორის უკვე საკლასი-ფიკაციო შეჯიბრებაზე აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი. კიდევ უფრო ენერგიულად ტყორცნიდა იგი ბადროს ფინალისაკენ მიმავალ გზაზე და ერთ-ერთი გდემის დროს ქალთა შორის მსოფლიოში პირველმა პადალაზა ნ. მამბრიანი ზღვარი — აჩვენა 58 მ 06 სმ, რითაც მსოფლიო რეკორდი დაამყარა.

ბადრო დაეხა 58,06 მეტრზე

სოფიის სპორტის მოყვარულებსა და უნივერსიტეტის მონაწილეთა ჯერ კიდევ არ დაემთავრებიათ სჯა-ბაასი ვ. ბრუმელის ფუნდამენტური რეკორდის შესახებ, რომ ქალაქს ახალი ცნობა მოედო, საბჭოთა სპორტსმენის ახალი შესანიშნავი წარმატების შესახებ. ამჯერად სენსაციის სათავე ბადროს სატყორცნი სექტორიდან მოდიოდა. წინა დღეს თ. პრესმა უნივერსიტეტის ოქროს მედალი მოიპოვა ბირთვის კვარში, რომელიც 17 მეტ-



საქართველო

ბათუმის ცხრილი მდგომარეობა 3 სექტემბრისათვის

| სსრპ | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|-------------------------|----|----|----|----|-------|----|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 22 | 16 | 2 | 4 | 52:25 | 34 |
| „დინამო“ (კიევი) | 21 | 14 | 3 | 4 | 56:28 | 31 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 21 | 13 | 5 | 3 | 42:19 | 31 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 12 | 5 | 5 | 43:24 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 10 | 6 | 5 | 37:23 | 26 |
| „პანინოვსკი“ (ხარკოვი) | 20 | 9 | 8 | 3 | 35:23 | 26 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 22 | 10 | 6 | 6 | 22:17 | 26 |
| „პანინოვსკი“ (ტაშკენტი) | 22 | 8 | 9 | 5 | 29:28 | 25 |
| „სპარტაკი“ (როსტოვი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| „სპარტაკი“ (როსტოვი) | 21 | 9 | 4 | 8 | 39:23 | 22 |

ამას წინათ მოსკოვში დამთავრებულ თანამედროვე ხუთტიდლოთა მსოფლიო ჩემპიონატზე შესანიშნავი წარმატება მოიპოვეს სპორტის ოსტატმა ი. ნოვიკოვმა და მისმა თანაგუნდელმა ბ. პახომოვმა, რომლებმაც დაიკავეს 1-2 ადგილი. მესამე პრიზიორი გახდა უნგრელი სპორტსმენი ა. ბალცო.

სურათზე აღბეჭდილია სწორედ ეს სამი სპორტსმენი, რომლებსაც მაყურებლებმა ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს.

ბათუმის ცხრილი

მდგომარეობა 3 სექტემბრისათვის

1-X ადგილები

| სსრპ | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|-------------------------|----|----|----|----|-------|----|
| „ტორპედო“ (მოსკოვი) | 22 | 16 | 2 | 4 | 52:25 | 34 |
| „დინამო“ (კიევი) | 21 | 14 | 3 | 4 | 56:28 | 31 |
| „სპარტაკი“ (მოსკოვი) | 21 | 13 | 5 | 3 | 42:19 | 31 |
| „დინამო“ (თბილისი) | 22 | 12 | 5 | 5 | 43:24 | 29 |
| „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) | 21 | 10 | 6 | 5 | 37:23 | 26 |
| „პანინოვსკი“ (ხარკოვი) | 20 | 9 | 8 | 3 | 35:23 | 26 |
| „სპარტაკი“ (ერევანი) | 22 | 10 | 6 | 6 | 22:17 | 26 |
| „პანინოვსკი“ (ტაშკენტი) | 22 | 8 | 9 | 5 | 29:28 | 25 |
| „სპარტაკი“ (როსტოვი) | 20 | 9 | 5 | 6 | 30:33 | 23 |
| „სპარტაკი“ (როსტოვი) | 21 | 9 | 4 | 8 | 39:23 | 22 |


მოსკოვი. 2 სექტემბერი. აქ შედგა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე ფუნდურთში „ა“ კლასის გუნდებს შორის, რომლებმაც იბრძვიან პირველ ათეულში. მოსკოვის „ტორპედო“ მიიღო ერევნის „სპარტაკი“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1. სპარტაკი. ამავე დღეს აქ თამაშობდნენ ადგილობრივი „ავანგარდი“ და მოსკოვის „სპარტაკი“. თამაში დამთავრდა სპარტაკელთა გამარჯვებით ანგარიშით 1:0.

ბერნის გზატკეცილი


გუშინ ბერნში დაიწყო მსოფლიო პირველობა საგზატკეცილო ველორბოლაში. სტარტზე გამოვიდა 340 უძლიერესი ველოსიპედისტი, რომელთა შორის არიან გერმანე-

ლები: შური, ვესტენი, საბჭოთა სპორტსმენები კაპიტონოვი, ჩერეპოვიჩი, მელისოვი და სხვები. მონაწილეებს გასაეღვი აქვთ 181,5 კილომეტრი. გზადაგზა სხვა-

ობა სიმალეთა შორის 2-6 მეტრს აღწევს, განსაკუთრებით ძნელი აღმართია ფინიშიდან ორ კილომეტრზე. საქმეს აძნელებს ისიც, რომ შეჯიბრების წინა დღეს ბერნში მაღალი ტემპერატურა — 30 გრადუსი იყო, სამაგიეროდ შესანიშნავადაა მომზადებული ტრასა.




ამას წინათ თბილისის „დინამოს“ კორტზე გამართულ ჩოგბურთულთა საერთაშორისო მატჩში ახალგაზრდა თბილისელმა სპორტსმენმა ა. მებრეველმა დაამარცხა ავსტრალიელი ჯ. ჰილბრანდტი.



სურათზე: გამოცდილი ჩოგბურთელი ჯ. ჰილბრანდტი (მარჯვნივ) გამარჯვებას ულოცავს ჯაბუ მებრეველს. მეორე სურათზე აღბეჭდილია უნგრეთისა და საქართველოს ჩოგბურთულ ვუთა წყვილების შეხვედრა.

პრესის წარმომადგენლებთან საუბარში შეჯიბრების მთავარ მსახურთა კოლეგამ დაასახელა გამარჯვების ძირითადი კონკურენტები—იტალია, გერმანია, პოლანდია, საბჭოთა კავშირი და ესპანეთი, მაგრამ გამორიცხული არაა რომელიმე ნაკლებად ცნობილი გუნდმაც მოახდინოს სენსაცია. და ეს არც იქნება გასაკვირი, რადგან ველოსპორტში მსგავს შემთხვევებს ხშირად აქვს ადგილი. თუ რამდენად გამართლდება სპეციალისტთა პროგნოზები, ამას ცხადყოფს დღევანდელი დღის დასასრული, როცა გამოვლინდება გამარჯვებულნი.




პირი, მზე და წყალი, რომ ადამიანის ჯანმრთელობის გაკეთებას ხელს უწყობს, ეს ხაყოველთაოდ ცნობილი, მაგრამ მისი მაქსიმალური გამოყენება პიროვნების ხასიათზე დამოკიდებულია.

ზოგი ტურისტთაა გატაცებული და თავისუფალ დროს სუფთა ჰაერზე ატარებს, მშობლიურ მხარეს სწავლობს, ზოგი ნაღობის მატარებელია, სხვები კი მარტოოდენ ზღვის პლაჟითაც კმაყოფილდებიან.

ყველას თავისი მიდრეკილება აქვს. ს. კრუტკოვიცის მიერ ფორმირებული დიდი ადამიანს კი თავისი დასვენება თევზაობის გარეშე წარმოუდგენლად მიანია (სურათი მარჯვნივ).

კობად დაკრძალული ბაღე, ჰაერში აჭრის ბურთი და მის ასაღებად მომართულ სპორტსმენთა დრეკადი სხეულები. ასეთ სურათს ახლა ყველგან შეხვდებით. სურათი ზოგადია და ს. კრუტკოვიცის მას ზოგადი დასახელება — „აბა ბურთი და მოედანი“ მისცა.



ახალი ქარხნის კოლექტივი

სულ რამდენიმე წლის წინათ ამ ადგილას პატარა საამქრო იდგა გამურული მილით. ათიოდე კაცი მუშაობდა. მცირე იყო ახალგაზრდების რიცხვი. მაგრამ ვაჟი და დედა და სურათი შეიცვალა. საამქრო გურჯაანის საკონსერვო ქარხნად იქცა. მწყობრში ჩადგა ახალი საამქროები და ახალი მექანიკური ხაზები, მოვიდნენ ახალი ადამიანები. სპორტი ქარხნის ახალგაზრდობისათვის განუყოფელად იქცა.

ახალგაზრდებს პირველ ხანებში გაუჭირდათ. არ იყო საკმაო ბაზები, ა-

ლდათ სპორტული ინვენტარი, ქარხნის არ ჰყავდა კვალიფიციური მწვერთნელები, მაგრამ ყველაფერი თანდათან გამოიწვრიდა და დღეს უკვე ამ ქარხნის სპორტსმენებს კარგად იცნობენ რაიონის ფარგლებს გარეთაც.

ქარხნის სპორტულ ცხოვრებას გ. ოსიაშვილი ხელმძღვანელობს. სწორედ მან გაგვაცნო ქარხნის მოწინავე სპორტსმენები, ვრცელ და ნათელ საამქროებში იდგნენ თეთრხალათიანი ჯაბუკები და ქალიშვილები. სულ ორი წელია მუ-

შაობს ქარხანაში მთავარი საამქროს უფროსი ფ. ბიწიაშვილი. მას სტუდენტობიდანვე გატაცებით ჰყვარებია ფრენბურთი. მან ქარხანაში მოსვლისთანავე ჩამოაყალიბა სექცია და სათავეში ჩაუდგა გუნდს.

ბოსტნეულის საამქროში ვაჟიციანთ რ. ზარდიაშვილი — ძველი მოკადავმა ახალგაზრდების დიდი მეგობარი. კაღარა შეპარვია რამანს, მაგრამ ჯერ კიდევ არ დაუნებებია თავი სპორტისათვის. იგი ყოველთვის პოულობს დროს ახალგაზრდების სავარჯიშოდ

და ქარხანაშიც დღითიდღე იზრდება ახალგაზრდა მოჭიდავეები: ო. ნიბლაძე, გ. ჯობაძე, ზ. ზარდიაშვილი...

სროლის სექციას გ. სირბილაშვილი უდგას სათავეში. ვაჟებთან ერთად სპორტის ამ მიმზიდველ სახეობას გატაცებით მიდევნებენ ნათელა მჭედლიშვილი, ირა აგულაოვა, დარიკო მაჩიტაძე, დალი გორხელაშვილი.

ჩვენ ქარხნის ეზოში ვდგავართ. ჰიშკარში შემოდიან და გადიან ხილბოსტნეულითა და საკონ-

სერვო ყუთებით დატვირთული ავტომანქანები. გუგუნებენ საამქროები, ეზოში გამოდიან მუშები. ცვლა უკვე ამთავრებს სამუშაოს.

გ. ოსიაშვილი მომავალ გვიმებზე გვესაუბრება. გარსემოხვეულ ჯაბუკებსა და ქალიშვილებს არა ნაკლებ აინტერესებთ მძლეოსნობის, ფეხბურთისა და ჩოგბურთის სექციების გახსნის ბედი.

— უფრო მასობრივი გავხადოთ სპორტი! — ამოცანა, რისთვისაც იბრძვის გურჯაანის საკონსერვო ქარხნის ახალგაზრდობა.

ა. ბებიაძე

დიდი მომავლის პირობებში

კომუნისტური საზოგადოების აშენებისათვის ბრძოლის დიდი პროგრამა, რომლის პროექტიც განსახილველად და დასამტკიცებლად წარედგინება ჩვენი პარტიის XXII ყრილობას, კონკრეტულ ამოცანებს სახავს საბჭოთა ქვეყნის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის წინაშე. სკკპ პროგრამის პროექტში უცხოელთა ფაქტებზე დაყრდნობით გამომდგენებულია მსოფლიო კაპიტალიზმის თანამედროვე ბრწყინსა და კრიზისის მიზეზები, რაც აჩქარებს მუშათა კლასის რევოლუციურ და ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას. ეს ისტორიული დოკუმენტი ეკაფოდ ახასიათებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკური მოღვაწეობის მთავარ მიზანს, რაც გამოიხატება იმაში, რომ მან უნდა „უზრუნველყოს მშვიდობიანი პირობებში სსრ კავშირში კომუნისტური საზოგადოების აშენებისა და სოციალისტური მსოფლიო სისტემის განვითარებისათვის და ყველა მშვიდობისმოყვარე ხალხთან ერთად იხსნას კაცობრიობა გამანადგურებელი მსოფლიო ომისაგან“.

პარტია სახავს ახალ გიგანტურ ამოცანებს ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის, კერძოდ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მუშაკთა წინაშე, აყენებს ახალ ამოცანებს ხალხის მატერიალური კმაყოფილების გაუმჯობესების დარგში, წინა პლანზე წამოწეული ისეთი დიდმნიშვნელოვანი საკითხები, როგორც: სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი განვითარება, საზოგადოებრივი ორგანიზაციების როლის ამაღლება, მუშაობა იდეოლოგიურ ფრონტზე, განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში და სხვ.

ჩვენი პარტიის პროგრამის პროექტი საბჭოთა საზოგადოების ყურადღების ცენტრში აყენებს იდეოლოგიური მუშაობის სერიოზულ

ამოცანებს. ეს ამოცანებია: „ყველა მშრომელის ალტრად მაღალი იდეურობისა და კომუნისტური ეროვნული გულდების, შრომისა და საზოგადოებრივი მეურნეობისადმი კომუნისტური დამოკიდებულების სულიკვებით, ბურჟუაზიულ შეხედულებათა და ზნე-ჩვეულებათა გადმოინაშობის სრული დაძლიება, პიროვნების ყოველმხრივი, პარმონიული განვითარება, სულიერი კულტურის ნამდვილი სიმდიდრის შექმნა. პარტია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს მოზარდთა ომის ალტრადს“.

ახალი ადამიანის კომუნისტური სულიკვებით ალტრად პირველ რიგში ისე უნდა წარიმართოს, რომ უზრუნველყოფილ იქნას პიროვნების ყოველმხრივი და პარმონიული განვითარება; ქოველმხრივ განვითარებულმა ადამიანმა ალტრად შესაძლებლობა განსაკუთრებით იქნება ახლა, კომუნისტურ გადსვლის პერიოდში, ასეთი ალტრად წყალობით ახალ ადამიანში „პარმონიულად იქნება შესაძლებული სულიერი სიმდიდრე, მორალური სიწმინდე და ფიზიკური სრულყოფა“.

იყენებდა რა მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების გენიალურ მითითებებს მოზარდთა ომის ყოველმხრივი ალტრადის საკითხებზე, ჩვენი პარტია ყოველთვის განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა ფიზიკურ ალტრადს, როგორც საერთო კომუნისტური ალტრადის ორგანიზაციის ნაწილს; იგივე თვალსაზრისით, ოდნავ უფრო ფართო მასშტაბითა და ამოცანებით, გატარებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტშიც. ამ ისტორიულ დოკუმენტში საბჭოთა ადამიანების კომუნისტური ალტრად-

დის, კერძოდ, ფიზიკური ალტრადის დარგში წამოყენებულია გრანდიოზული ამოცანები, რომლის გადაჭრაც საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის თვითული წარმომადგენლისა და ხელმძღვანელის დაუღალავი, გულსისხმიერ მუშაობას მოითხოვს.

საბჭოთა ადამიანების ფიზიკური ალტრადის შემდგომ გაუმჯობესებას უშუალოდ შეუწყობს ხელს ის დიდი ღონისძიება, რაც ვათვალისწინებულა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში სამუშაო დღის შემცირებისა და შრომის პირობების შემდგომი გაუმჯობესების დარგში. როგორც ცნობილია, მომავალი ათი წლის განმავლობაში სამუშაო დღე შემცირდება 6 საათამდე, ხოლო მეორე ათწლეულში კიდევ უფრო შემცირდება სამუშაო დღე და კვირა. საბჭოთა კავშირი გახდება მსოფლიოში ყველაზე მოკლე სამუშაო დღის ქვეყანა. ამ ღონისძიებებთან დაკავშირებით „ადამიანთა თავისუფალი დრო სულ უფრო მეტად მოხმარდება საზოგადო მოღვაწეობას, კულტურულ ურთიერთობას, გონებრივ და ფიზიკურ განვითარებასა და მხატვრულ შემოქმედებას. ფიზკულტურა და სპორტი დამკვიდრდება ადამიანთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში“.

საბჭოთა ადამიანებისათვის ასეთი პირობების შექმნა კომუნისტური პარტიის დაუღალავი და გეგმაზომიერი ბრძოლის შედეგია. ეს ბრძოლა გასული საუკუნის შუა წლებში გააჩაღეს ჯერ კიდევ მარქსმა და ენგელსმა, ისინი სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ ბურჟუაზიას, რომელიც, როგორც მარქსი წერდა თავის „კაპიტალში“, „უსურპაციას ახდენს იმ დროისას, რომელიც აუცილებ-

ლია სხეულის ზრდის, განვითარებისა და ჯანმრთელად შენახვისათვის. იგი იტაცებს დროს, რომელიც მუშას ესაჭიროება სუფთა ჰაერით და მზის სხივებით სარგებლობისათვის“ (მარქსი, „კაპიტალი“, ტ. I, 1954 წ., გვ. 336).

წინააღმდეგ ბურჟუაზიის ასეთი ანტიხალხური მოქმედებისა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია აღნიშნავს თავისი პროგრამის პროექტში, რომ სამუშაოდან დარჩენილ თავისუფალ დროს ესაჭიროება მაქსიმალური, გეგმაზომიერი გამოყენება, რათა მან ხელი შეუწყოს ადამიანთა ნაყოფიერ, აქტიურ დასვენებას. პროგრამის პროექტში ხაზგასმითაა მითითებული, რომ უნდა გაჩაღდეს დასასვენებელი სახლების, პანსიონატების, სასტუმროებისა და ტურისტული ბაზების მშენებლობა. ეს ახალი ამოცანების წინაშე აყენებს საბჭოთა ფიზკულტურული მოძრაობის ხელმძღვანელებს, ფიზიკური კულტურის საზოგადოებრივ მუშაკებს, რომლებიც სათავეში უნდა ჩაუდგინონ მშრომელთა დასვენების გეგმაზომიერ წარმართვას; მათი ორგანიზაციული და მეთოდური დახმარებით მშრომლებმა უნდა მიიღონ ყოველდღიური ფიზიკური წრთობა, რათა მომდევნო დღის შრომითი პროცესი გახდეს უფრო ხასხასო და ნაყოფიერი.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა ადამიანებს ეძლევათ სამუშაოდან თავისუფალი დროის ნაყოფიერი გამოყენების უდიდესი შესაძლებლობა, პარტია ყურადღების გარეშე არ ტოვებს უშუალოდ მუშაობის პროცესს და სახავს ღონისძიებებს მშრომის პირობების შემსუბუქებისათვის. „ყველა საწარმოში... უზრუნველყოფილი იქნება სა-

ნიტარულ-ჰიგიენური პირობები, რომლებიც აღმოფხვრიან საწარმოო ტრავმატიზმსა და პროფესიულ დაავადებებს“, — ნათქვამია პროგრამის პროექტში. ცნობილია, რომ საწარმოო ტრავმატიზმის, განსაკუთრებით კი პროფესიული დაავადების თავიდან აცილების ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს ტანვარჯიში მუშაობის დაწყებამდე და ფიზკულტურული პაუზები, რაც კარგა ხანია ინერგება საქართველოს წარმოება-დაწესებულებებსა და ზოგიერთ სასოფლო-სამეურნეო რაიონში. საქართველოს ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტისა და სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის მუშაკები უკვე მეხუთე წელია მუშაობენ აღნიშნულ პრობლემის გადასაწყვეტად და ეძებენ მშრომელთა შორის აქტიური დასვენების, დღის ტანვარჯიშისა და ფიზკულტურული პაუზების დანერგვის ახალ-ახალ ხერხებსა და მეთოდებს, მაგრამ გასაკმეებელია ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრია; გულდასმითაა შესასწავლ მრავალ სპეციფიურ საწარმოო შრომითი პროცესის, და კერძოდ, მუშის მოძრაობის თავისებურებანა, რის შემდგომაც დიდი მუშაობა უნდა ჩატარდეს მათი შესაფერის ვარჯიშების კომპლექსების შედგენისა და პრაქტიკაში დანერგვისათვის.

დღისათვის ეს ღონისძიება დანერგილია მხოლოდ მეჩაიურ რაიონების ზოგიერთ სოფელში, გარდა ამისა, ძალზე არასამართლად ხაერთო ფიზიკური მოზადების სექციები ასაკგადაცილებულთათვის და ა. შ. აქედან გასაგები ხდება, თუ პროგრამის პროექტის განწილის განხორციელებისათვის და დაწინაურების ჩატარება მოგების დედა.

ა. ციხაძე, საქართველოს ფიზიკური კულტურის ინსტიტუტის საერთო ფიზიკური მოზადების უაქსტეტის დეკანი. (გაგრძელება იქნება)

ფინალის „საგზური“ გაიცა



რა გვიჩვენა განვლილმა ჩემპიონატმა, რა პერსპექტივები გვაქვს მორიგე საკავშირო პირველობაზე, რომელიც სექტემბრის მეორე ნახევარში მოსკოვში ტარდება?

არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ჩატარებული რესპუბლიკური პირველობა ფაქტურად თბილისის პირველობა იყო, რადგან მასში არ მონაწილეობდნენ აქარის, აფხაზეთის, ქუთაისის ტყვიით მსროლელები, რომ არაფერი ეთქვათ სხვა ქალაქებსა და რაიონებზე. გამარჯვებისათვის ფაქტურად მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები იბრძოდნენ. ამან თავისებური უარყოფითი გავლენა იქონია შეჯიბრების სიმწვავესა და შედეგებზე. ექვსი დღის განმავლობაში შესრულებული 11 ვარჯიშიდან მარტო 7-მა სპორტსმენმა აჩვენა ოსტატის შედეგი. მონაწილეთა დიდმა რაოდენობამ კი თავი ვერ დააღწია მეორე თანრიგს. შეჯიბრებისადმი არასათანადო გულისხმიერება გამოიჩინეს სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმაც, ვერ შეძლეს გუნდების გამოყვანა, რის გამოც კალენდარით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობის ნაცვლად შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ პირადი პირველობით დაემყოფილებულიყვნენ.

თავის ყველა უძლიერეს სპორტსმენებს ვერ მოუყარეს თავი შეჯიბრებაზე „დინამოსა“ და „დოხაფის რესპუბლიკურმა“ საბჭოებმაც, ხოლო საწარმოთა კოლექტივიებიდან ცეცხლის ხაზზე მხოლოდ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ამგვარად, რესპუბლიკური პირველობის შედეგებით, რომელშიც მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, დაკომპლექტებული ნაკრები სრულფასოვანი ვერ იქნება და საჭიროა გადამკრულ ღონისძიებათა გატარება, რათა საკავშირო სარბიელზე რესპუბლიკის ნაკრებმა არ გაიზიაროს საქართველოს დოხაფის მსროლელები, როცა მათ ტექნიკურ სახეობათა საკავშირო სპარტაკიადზე ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილთაგანი დაიკავენ.

რესპუბლიკაში ტყვიით სროლის განვითარებას ხელს უშლის ბაზენის სიმცირეც. ავჭალის სასროლეოთი კი, სადაც ჩატარდა აღნიშნული შეჯიბრება, ჯერ კიდევ არაა მთლიანად კეთილმოწყობილი. მისი ექვსი ტირის წესრიგში მოყვანის სამუშაო საგრძნობლად ქიანურდება და ხელს უშლის სპორტსმენთა რეგულარულ ვარჯიშს.

საქართველოს პირველობის შედეგები

დამთავრდა საქართველოს პირველობა ტყვიით სროლაში. შეჯიბრების უკანასკნელი დღეები დაეთმო მცირეკალიბრიანი პისტოლეთიდან სილუეტებზე, „სილუეტის ირემზე“ ორმაგ და „მთელი შაშხანიდან სტანდარტულ“ ორმაგ და „მთელი შაშხანიდან სილუეტებზე“ ორმაგ შედეგების დასაზღვრად. და ამ ვარჯიშებიდანაც მხოლოდ სილუეტებზე მსროლელებმა აჩვენეს დამაკმაყოფილებელი შედეგები, როცა დინამოელებმა შილოვა და კ. ფორტიევმა 60 ტყვია მოახვედრეს მან და შესაბამისად დააგროვეს 4 და 582 ქულა და აჩვენეს ტარტის ნორმატივზე მაღალი შედეგები. ყველა ტყვია მოახვედრეს სამიზნეს მესამე პრიზიორმაც — კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის გუნდის წევრმა. გობოროვმაც, მან მხოლოდ 1 ქულა დააგროვა, რაც I თანრიგის შედეგია. სამაგიეროდ ქალაქის პირველი თანრიგი მხოლოდ ვ. ტიმოფეევმა აჩვენა — 1 ქულა. სხვა სპორტსმენთა მაჩვენებლები მეორე თანრიგის შედეგს არ გაცილებია.

მხოლოდ 6 სპორტსმენი დადგა „სილუეტის ირემზე“ 25 ორმაგი ტყვით ცეცხლის ხაზზე და მათგან ვერაინ შეძლო ოსტატის შედეგი (205 ქულა) ჩვენება. ამ შედეგად გამარჯვებულ გ. ბექთაშვილმა 4 ქულა დააქლდა, რომელმაც მას მხრივ ამდენივე ქულით ვერ ვ. კაიუდას. გ. ბოსტოლავმა 190 ქულით დაიკავა მეორე ადგილი. თუმცა სამივე პრიზიორის მაჩვენებლები პირველობის უღირსი. მაგრამ ამგვარი შედეგები რესპუბლიკის ნაკრების დასაყარად არადაამაკმაყოფილებელია. უფრო შორს წავიდეთ — არმიული შაშხანიდან სტანდარტულ (3x20) მსროლელები. 11 მსროლიდან, რომელთა შორის ერთი იყო სპორტის ოსტატი, მხოლოდ ორმა აჩვენა პირველი თანრიგი — შ. მოსიაშვილმა, რომელმაც სამი მდგომარეობის ჯამში 1 ქულა დააგროვა და ვ. ვასილევმა — 514 ქულა.



ნაწილეთა დიდმა რაოდენობამ კი თავი ვერ დააღწია მეორე თანრიგს. შეჯიბრებისადმი არასათანადო გულისხმიერება გამოიჩინეს სპორტსაზოგადოებათა საბჭოებმაც, ვერ შეძლეს გუნდების გამოყვანა, რის გამოც კალენდარით გათვალისწინებული პირად-გუნდური პირველობის ნაცვლად შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებულნი გახდნენ პირადი პირველობით დაემყოფილებულიყვნენ.

თავის ყველა უძლიერეს სპორტსმენებს ვერ მოუყარეს თავი შეჯიბრებაზე „დინამოსა“ და „დოხაფის რესპუბლიკურმა“ საბჭოებმაც, ხოლო საწარმოთა კოლექტივიებიდან ცეცხლის ხაზზე მხოლოდ კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის სპორტსმენები გამოდიოდნენ.

ამგვარად, რესპუბლიკური პირველობის შედეგებით, რომელშიც მხოლოდ თბილისელი სპორტსმენები მონაწილეობდნენ, დაკომპლექტებული ნაკრები სრულფასოვანი ვერ იქნება და საჭიროა გადამკრულ ღონისძიებათა გატარება, რათა საკავშირო სარბიელზე რესპუბლიკის ნაკრებმა არ გაიზიაროს საქართველოს დოხაფის მსროლელები, როცა მათ ტექნიკურ სახეობათა საკავშირო სპარტაკიადზე ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილთაგანი დაიკავენ.

რესპუბლიკაში ტყვიით სროლის განვითარებას ხელს უშლის ბაზენის სიმცირეც. ავჭალის სასროლეოთი კი, სადაც ჩატარდა აღნიშნული შეჯიბრება, ჯერ კიდევ არაა მთლიანად კეთილმოწყობილი. მისი ექვსი ტირის წესრიგში მოყვანის სამუშაო საგრძნობლად ქიანურდება და ხელს უშლის სპორტსმენთა რეგულარულ ვარჯიშს.

მ. ბელაშვილი

სურათი: ზევით — რეგულაციის პისტოლეთიდან სროლაში გამარჯვებული კ. ფორტიევი, ქვევით — ვ. ხალუჭავაძე და შ. გუჯარელიც ცეცხლის ხაზზე გახვლის წინ.

ბათუმი. (ჩვენი სპეც. კორ.)
XXIX ჩემპიონატის ნახევარფინალის დასკვნით ტურს საბოლოოდ უნდა გამოერკვია ფინალისტები. ნათელი იყო, რომ ერთ-ერთი მათგანი გურგენიძე იქნებოდა. უსტინოვთან პარტიის ყაიმით დამთავრებით მან კიდევ იუროდიულად გააფორმა თავისი უფლება. 14 ქულის მოგროვებით სხვევისათვის მიუწვდომი აღმოჩნდა, მაგრამ II ადგილის ბედი ღიად რჩებოდა. მასზე ყველაზე მეტ პრეტენზიას აცხადებდნენ გიჰსლინი, ბაგიროვი და კლოვანი, რომლებსაც ქულათა ერთნაირი რაოდენობა ჰქონდათ. ყველაფერი დამოკიდებული იყო ბოლო პარტიების შედეგზე. გიჰსლინი მოუგო კალანტარს, მასინ, როცა ბაგიროვმა ყაიმის მეტს ვერ მიადგინა პრესთან, ხოლო კლოვანი დამარცხდა ნეისთან. მეორე ფინალისტი გახდა ლატვიის ჩემპიონი გიჰსლინი.

დანარჩენ პარტიებს არ ჰქონდა არსებითი მნიშვნელობა საპრიზო ადგილებზე განაწილებაში. ისინი ყველა ყაიმით დამთავრდა.

ამრიგად, დამთავრდა ბათუმის ნახევარფინალი. სატურნირო ცხრილში შეივსო ყველა უჯრედი და იგი ასე გამოიყურება: გურგენიძე (თბილის.) — 14 ქულა, გიჰსლინი (რიგა) — 13,5, ბაგიროვი (ბაქო),


ნეი (ტალინი) — 12,5 ქულა თვითულს, კლოვანი (რიგა) — 12 ქულა, როიზმანი (მინსკი) — 11 ქულა, გრუშევსკი (ტაშკენტი) — 10 ქულა, პავლენკო (ბაქო) — 9 ქულა, უსტინოვი (ფრუნზე) — 8,5 ქულა, ბუსლაევი (თბილისი), მოსიონიკი (კიშინიოვი) — 8 ქულა თვითულს, ლომაია (თბილისი), ზახარიანი (ერევანი) — 6,5 ქულა თვითულს, პალილბეილი, არაქელავი (ორივე ბაქოდან), პრესი (ლენინგრადი) — 5 ქულა თვითულს, ანოხინი (ფრუნზე), კალანტარი (ერევანი) — 3 ქულა თვითულს.

XXIX ჩემპიონატის ფინალში, რომელიც 21 ნოემბერს დაიწყება ბაქოში, მონაწილეობის უფლება მოიპოვეს გურგენიძემ და გიჰსლინი. ტურნირის შემდეგ ჩვენი კორესპონდენტი ესაუბრა საკავშირო კატეგორიის მსახურს გ. გაჩეჩილაძეს, რომელმაც განაცხადა:

— ბევრი კარგი უნდა ითქვას გამარჯვებულთა შესახებ. გურგენიძე საკმაოდ ცნობილი მოქალაქეა, მაგრამ ბოლო წლებში საკავშირო სარბიელზე მისი შედეგები საპარტიოან გულისწყ-

რომას იწვევდა. მის თამაშში არ იგრძნობოდა სიბოლო სე, ლტოლვა გამარჯვებისადმი. ნიჭიერმა ოსტატმა კრიტიკულად გადახედა თავის შემოქმედებას და სათანადო დასკვნებიც გამოიტანა. ეს ნათლად გამოჩნდა ნახევარფინალში, სადაც მან კარგი თეორიული და ფიზიკური მომზადება გამოავლინა. გურგენიძეს არც ერთი პარტია არ წაუგია და 11 გამარჯვება მოიპოვა.

სურათი: ბ. გურგენიძე.



სსრ კავშირის თასი ფეხბურთში

| „კალენი“ ტალინი | „ნეფტიანიკი“ | 1/4 |
|--------------------------|--------------------------|--------|
| „ნეფტიანიკი“ ბაქო | 2 : 1 | 1/2 |
| „რბაქაბა“ გორკი | „ტორპედო“ (ბ) | |
| „ტორპედო“ პავლოვო | 3 : 0 | 3/4 |
| „ზენიტი“ ლენინგრადი | „კოლგოზსნიკი“ ჩერკასი | |
| „კოლგოზსნიკი“ ჩერკასი | „ბელარუსი“ მინსკი | ფინალი |
| „ბელარუსი“ მინსკი | „კრ. სოვეტოვ“ | |
| „კრ. სოვეტოვ“ | 1 : 0 | ფინალი |
| „ტორპედო“ მოსკოვი | „შრ. რეზერვნი“ კურსკი | |
| „შრ. რეზერვნი“ კურსკი | „სპარტაკი“ (ლ) | ფინალი |
| „სპარტაკი“ (ლ) | 6 : 0 | |
| „ტორპედო“ არმავირი | „სპარტაკი“ (მ) | ფინალი |
| „სპარტაკი“ (მ) | 3 : 1 | |
| ს ბ ბ როსტოვი | „სპარტაკი“ (მ) | ფინალი |
| „სპარტაკი“ (მ) | 4 : 0 | |
| „ლოკომოტივი“ მოსკოვი | „ლოკომოტივი“ (მ) | ფინალი |
| „ლოკომოტივი“ (მ) | 5 : 1 | |
| „ენერგია“ ვოლუსკი | „მეტალურგი“ (ს) | ფინალი |
| „მეტალურგი“ (ს) | 3 : 0 | |
| „მეტალურგი“ სტალინსკი | „დინამო“ კიევი | ფინალი |
| „დინამო“ კიევი | „პანენბარდი“ კრამატორსკი | |
| „პანენბარდი“ კრამატორსკი | „დამირალტევი“ | ფინალი |
| „დამირალტევი“ | 2 : 2, 3 : 2 | |
| მ. სერპუხინის გუნდი | „სიმიკი“ (ს) | ფინალი |
| „სიმიკი“ (ს) | 5 : 1 | |
| „სიმიკი“ (ს) | „დინამო“ მოსკოვი | ფინალი |
| „დინამო“ მოსკოვი | 2 : 0 | |
| „ისპარა“ ყაზანი | „დინამო“ (მ) | ფინალი |
| „დინამო“ (მ) | 0 : 0, 8 : 0 | |
| „შახტიორი“ სტალინი | „შახტიორი“ (სტ) | ფინალი |
| „შახტიორი“ (სტ) | 3 : 0 | |
| „სპარტაკი“ ფერგანა | „დინამო“ თბილისი | ფინალი |
| „დინამო“ თბილისი | „პანენბარდი“ ხარკოვი | |

ფეხბურთში. მოკავშირე რესპუბლიკათა II ზონის გუნდებს შორის. ითამაშეს ადგილობრივმა „ტორპედომ“ და აშხაბადის „კოპეტ-დაგმა“ შეხვედრა მოიგეს მასპინძლებმა — 4:0.

